

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2024 წლის 29 ნოემბერი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.165.016462).

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის I თავის 1-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

დანართი

თავი I. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	37961.8	39317.3	48415.6	33751.6	14664.0
გადასახადები	21226.7	25734.4	30186.3	30186.3	0.0
გრანტები	12254.4	9575.3	15230.8	566.8	14664.0
სხვა შემოსავლები	4480.7	4007.7	2998.5	2998.5	0.0
II. ხარჯები	21942.1	27734.3	31926.2	28983.7	2942.5
შრომის ანაზღაურება	3635.2	4085.3	4600.5	4600.5	0.0
საქონელი და მომსახურება	5152.8	7053.8	6833.5	6125.0	708.5



პროცენტი	26.4	19.5	12.8	12.8	0.0
სუბსიდიები	7945.3	10855.6	13279.3	13279.3	0.0
გრანტები	226.4	233.0	238.9	238.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1161.6	1395.6	2343.8	2343.8	0.0
სხვა ხარჯები	3794.4	4091.6	4617.5	2383.4	2234.1
III. საოპერაციო სალდო	16019.7	11583.0	16489.4	4767.9	11721.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12233.5	13709.9	35787.2	22581.9	13205.3
ზრდა	21138.5	21549.9	36577.6	23372.3	13205.3
კლება	8905.1	7840.1	790.4	790.4	0.0
V. მთლიანი სალდო	3786.2	-2126.9	-19297.7	-17814.0	-1483.8
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3732.9	-2180.1	-19351.0	-17867.3	-1483.8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	-3732.9	2180.1	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	-3732.9	2180.1	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-53.3	-53.3	-53.3	-53.3	0.0
კლება	53.3	53.3	53.3	53.3	0.0
საშინაო	53.3	53.3	53.3	53.3	0.0
სესხები	53.3	53.3	53.3	53.3	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	
	სულ	სულ	სულ	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	46866.9	47157.4	49206.0	34542.0	14664.0
შემოსავლები	37961.8	39317.3	48415.6	33751.6	14664.0
არაფინანსური აქტივების კლება	8905.1	7840.1	790.4	790.4	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	21577.5	19397.4	46.4	46.4	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	43133.9	49337.5	68557.1	52409.3	16147.8
ხარჯები	21942.1	27734.3	31926.2	28983.7	2942.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	21138.5	21549.9	36577.6	23372.3	13205.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	17844.6	21577.5	19397.4	17913.6	1483.8
ვალდებულებების კლება	53.3	53.3	53.3	53.3	0.0
ნაშთის ცვლილება	3732.9	-2180.1	-19351.0	-17867.3	-1483.8

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 48415,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	37961.8	39317.3	48415.6	33751.6	14664.0
გადასახადები	21226.7	25734.4	30186.3	30186.3	0.0
გრანტები	12254.4	9575.3	15230.8	566.8	14664.0
სხვა შემოსავლები	4480.7	4007.7	2998.5	2998.5	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 30186,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება	სულ	სულ	სულ
	გადასახადები	21226.7	25734.4
დამატებითი ღირებულების გადასახადი	16001.3	19601.0	24436.3
ქონების გადასახადი	5225.4	6133.4	5750.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2396.0	3230.7	3100.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	49.4	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	45.2	47.2	10.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2182.9	2219.1	2050.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	601.3	587.0	590.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 15230,8 ათასი ლარით:

ათას ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გრანტები	12254.4	9575.3	15230.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	15.4
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	12254.4	9575.3	15215.4
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	400.0	570.0	260.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	245.0	405.0	291.4
კაპიტალური ტრანსფერი	7954.0	6616.8	10428.6
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	3655.4	1983.5	4235.5
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2249.8	237.0	2859.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	282.1	664.1	0.0



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	668.0	605.1	668.0
საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	455.5	477.3	708.5

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2698,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	4480.7	4007.7	2998.5
შემოსავლები საკუთრებიდან	2482.4	2813.6	2244.5
პროცენტები	1785.1	1965.7	1684.5
რენტა	697.3	847.9	560.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	134.9	167.6	104.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	126.6	162.8	92.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.0	8.4	2.0
სანებართვო მოსაკრებელი	63.6	94.4	45.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.1	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	59.0	59.9	45.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8.3	4.8	12.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	797.2	854.5	550.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1066.2	171.9	100.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 31926,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის



				შემოსავლები	ფონდები
ხარჯები	21942.1	27734.3	31926.2	28983.7	2942.5
შრომის ანაზღაურება	3635.2	4085.3	4600.5	4600.5	0.0
საქონელი და მომსახურება	5152.8	7053.8	6833.5	6125.0	708.5
პროცენტები	26.4	19.5	12.8	12.8	0.0
სუბსიდიები	7945.3	10855.6	13279.3	13279.3	0.0
გრანტები	226.4	233.0	238.9	238.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1161.6	1395.6	2343.8	2343.8	0.0
სხვა ხარჯები	3794.4	4091.6	4617.5	2383.4	2234.1

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 35787,2 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 36577,6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 790,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	591.0	154.7	310.3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	591.0	154.7	310.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16689.1	16105.7	28155.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11866.4	9818.3	20574.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2336.3	3135.3	2801.4
02 03	გარე განათება	995.8	74.4	360.5
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	53.3	151.6	20.7
02 05	კეთილმოწყობა	353.1	549.6	1997.5
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	213.4	294.6	95.3
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	0.0	67.1	200.0
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	871.0	2014.9	2106.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	162.2	1161.0	3641.1



03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0
03 05	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	62.3	1004.7	2923.0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	99.9	156.3	718.1
04 00	განათლება	2089.4	1084.9	749.4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	48.2	153.4	62.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1894.9	929.5	680.4
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	3.4	1.9	7.0
04 04	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	142.8	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1578.9	2722.4	2748.2
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1325.9	1890.7	1765.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	253.0	831.7	982.9
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.0	3.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	27.9	318.2	972.9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	24.3	316.9	968.9
06 02	სოციალური დაცვა	3.6	1.3	4.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	21138.5	21546.9	36577.6

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	8905.1	7840.1	790.4
ძირითადი აქტივები	79.4	0.0	20.0
არაწარმოებული აქტივები	8825.6	7840.1	770.4
მიწა	8825.6	7840.1	770.4

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის
--------------------	------------	-----------------	-----------------	-----------



				გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,572.9	5,749.6	7256.7
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,572.9	5,749.6	7256.7
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,493.3	5,676.8	6846.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	79.7	72.7	409.8
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0
7.2	თავდაცვა	192.7	227.3	0.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	192.7	227.3	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	12,710.2	11,046.2	21739.4
7.4.5	ტრანსპორტი	12,710.2	11,046.2	21739.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12,710.2	11,046.2	21739.4
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0.0
7.5	გარემოს დაცვა	2,427.1	4,302.3	6253.5
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,427.1	4,302.3	6253.5
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	10,602.0	13,330.2	15019.3
7.6.1	ბინათმშენებლობა	3,012.2	3,651.2	3756.6
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0
7.6.3	წყალმომარაგება	3,626.0	5,099.0	4672.4
7.6.4	გარე განათება	2,304.6	1,647.6	2160.5
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,659.3	2,932.3	4429.7
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	151.6	488.9	1209.8
7.7.2	ამბულატორიული მომსახურება	26.7	323.2	928.4
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	124.9	165.7	281.4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,333.5	6,531.5	7118.1
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,588.5	3,844.1	3969.8
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,608.2	2,456.0	2848.8
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	91.0	53.7	59.6
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	45.8	177.6	239.8
7.9	განათლება	5,585.3	5,818.2	7114.7
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	4,869.6	4,989.5	6097.4



7.9 2	ზოგადი განათლება	525.0	564.3	708.5
7.9 8	საბაზო ზოგადი განათლება	190.7	264.4	308.8
7 10	სოციალური დაცვა	1,558.6	1,843.4	2845.8
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	78.5	119.0	361.6
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	313.5	349.5	373.3
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.800	1.800	0.2
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	80.0	110.0	168.8
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	28.423	25.739	45.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	766.3	920.8	1445.9
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	290.1	316.5	451.0
	სულ	43,133.9	49,337.5	68557.1

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -19297,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 16489,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	16,019.7	11,583.0	16,489.4
მთლიანი სალდო	3,786.2	-2,126.9	-19,297.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,732.9	- 2,180.1	- 19,351.0
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	- 3,732.9	2,180.1	19,351.0



ვალუტა და დეპოზიტი	- 3,732.9	2,180.1	19,351.0
--------------------	-----------	---------	----------

2. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის II თავის 13-18 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

თავი II. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 36758,6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	36,758.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	21,739.4
02 01 01	გზების შეკეთება	1,556.6
02 01 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	904.6
02 01 01 02	შ.პ.ს. საგარეჯო	652.0
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	20,028.8
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	153.9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	4,672.4
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	3,786.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	886.4
02 03	გარე განათება	2,160.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1,800.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	360.5
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	3,756.6
02 05	კეთილმოწყობა	2,028.5
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	2,028.5
02 05 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	-
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	-



02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	95.3
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	200.0
02 07 01	სასაფლაოების მოვლა და შემოღობვა	-
02 07 02	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,106.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		21739,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და მოვლა-შენახვას, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციას.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების შეკეთება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		1556.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური; შ.პ.ს. საგარეჯო.		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და მათზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული და თხოვნის ფორმით გადაცემული სპეც. ტექნიკის საშუალებით შპს „საგარეჯო“ ახორციელებს შიდა საუბნო გზების მოწესრიგებას და სოფ. კაკაბეთის მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფას, დადგენილი ტარიფის მიხედვით გადასახადის ადმინისტრირებას, აგრეთვე მერიის მიერ გადაცემული 4 სამგზავრო ავტობუსით მგზავრთა ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტის შიდა ტერიტორიაზე. პროგრამა ითვალისწინებს ტრანსპორტის მოვლა-შენახვის და მომსახურე პერსონალის ადმინისტრაციულ ხარჯებს, შ.პ.ს.-ში დასაქმებულია სულ 41 თანამშრომელი, მათ შორის 8 ქალბატონი, 33 მამაკაცი.		



კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებულია შიდა საუბნო გზები, კაკაბეთის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალი გზების მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		20028.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ს.შიბლიანში ე.წ. "თუთუბიანის უბანში" გზის მოასფალტების სამუშაოები, ს.ყანდაურაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება, ს.პატარაძეულში ე.წ. "ნახალოვკის უბნის" გზის მოასფალტების სამუშაოები, ს.ნინოწმინდაში მე-9 და მე-10 ქუჩის მოასფალტების სამუშაოები, ქ.საგარეჯოში ერეკლე მეორის ქუჩის მე-7 და მე-8 შესახვევების მოასფალტება, სოფელ ხაშში სკვერის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება, დაფინანსდება სამუშაოების მონიტორინგი და საპროექტო მომსახურება, ხაშმის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარით მოწყობა; სახ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ადგ.ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება: ს. ბადიაურში კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტება (მრავალწლიანი), ს.მანავში მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია, ს. პატარა ჩაილურში ცენტრალური გზისა და მიმდებარე ქუჩის მოასფალტება, ს. ნინოწმინდაში 21-ე ქუჩის მოასფალტება, ს. მანავში 28-ე ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია, ქ.საგარეჯოს ბილანიშვილის ქუჩის მოასფალტება, შოთა რუსთაველის ქუჩის მოასფალტება/ტროტუარების მოწყობა, გამარჯვების ქუჩის რეაბილიტაცია, ს. დიდ ჩაილურში სკოლის ქუჩის მოასფალტება, ს. ბადიაურში მესეცყვეების უბნის გზის რეაბილიტაცია, ს. კაზლარის გზის მოასფალტება, ს. დუზაგრამის გზის მოასფალტება, ს. იორმუდანლოს ხიდის რეაბილიტაცია; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად დაფინანსდა ს.კაკაბეთში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ს.დიდ ჩაილურში მეხუთე ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, ს.პატარა ჩაილურში ე.წ.ჩიხლაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტით განხორციელდება ს.ნონოწმინდაში #15 ქუჩის მოასფალტების და ქ.საგარეჯოში ვარლამ ჩერქეიშვილის ქუჩაზე არსებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გზების კეთილმოწყობა, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, საგზაო მოძრაობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		153.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური		
არსებული საგზაო ნიშნების მოვლა და დაზიანებულის აღდგენა, ახალი საგზაო ნიშნების			



ქვეპროგრამის აღწერა	მოწყობა. კერძოდ, ახალი საგზაო ნიშნები მოეწყობა ქ. საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, აგრეთვე მოეწყობა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ48-დან (ქალაქ საგარეჯოს მიმდებარედ) -კმ57-მდე (სოფელ თოხლიაურის მიმდებარედ) ვიდეო კამერები და საგზაო ნიშნები.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 9-მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების მოთხოვნები დაცულია

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		4672.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	წყლის სისტემების განვითარება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტისთვის, პროგრამა ითვალისწინებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში, რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი, მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		2801.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით განხორციელდება: სასმელი წყლის ჭაბურღილების შესაკეთებლად ამქაჩი ტუმბოების შესყიდვა, ს.კაკაბეთში მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია, ს. შიბლიანის სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის პროექტისთვის ადგილზე ელექტროგადამცემი ხაზის მიყვანა, სასმელი წყლის მრიცხველების მოწყობა, სასმელი წყლის რეზერვუარების შესყიდვა, საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა, ს.პატარძელში და გიორგიწმინდაში სასმელი წყლის ჭაბურღილის გარეცხვა, სამუშაოების მონიტორინგი , აგრეთვე გათვალისწინებულია სასმელი წყლის		



	ჭაბურღილებზე დახარჯული ელენერჯის ხარჯის დაფინანსება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთებისთვის საჭირო სასმელი წყლის სხვადასხვა განზომილების მილების შესყიდვა. სახ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ადგ.ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება: ს. შიბლიანის სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის პროექტი,
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის წყალმომარაგება გაუმჯობესდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		886.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იკ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იკ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის სუბსიდირება, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გარდა ქ. საგარეჯოსი არსებული წყლის სისტემების სარემონტო-ადდგენით სამუშაოებს და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლს. ა.ა.ი.კ.-ში დასაქმებულია სულ 81 თანამშრომელი, მათ შორის 9 ქალბატონი, 72 მამაკაცი.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია; მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის ხარისხის წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		2160.5
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამაში გათვალისწინებულია გარეგანათების ახალი წერტილების მოწყობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება, გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება .		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 7- ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	განათებული მუნიციპალიტეტი.
--	----------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		1800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს ქუჩების გარეგანათების ტექნიკურ მომსახურებას, როგორცაა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</p> <ul style="list-style-type: none"> - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. <p>ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 7- ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		360,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია გარეგანათების ახალი წერტილების და ახალი მრიცხველების მოწყობა, სამუშაოების მონიტორინგი და საპროექტო მომსახურება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 7- ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილი მოსახლეობა.		

	კოდი	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		3756.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა	პროგრამით გათვალისწინებულია ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია, სამუშაოების მონიტორინგი და საპროექტო მომსახურება. სახ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ადგ.ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი N9 და N10ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, 2023 წლის 28 დეკემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი) დაზარალებული მოქალაქეების დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		2028.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის, შენობების ფასადების რეაბილიტაციის, სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობის სამუშაოები.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობის პროგრამით განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილი მოსახლეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05 01		2028.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია. 2024 წელს პროგრამაში გათვალისწინებულია საკადასტრო-აგეგმვითი ნახაზების შესყიდვის, საპრივატიზაციოდ მომზადებული ობიექტების შეფასების და საიჯარი ქირის განსაზღვრის მიზნით საექსპერტო მომსახურების ხარჯი, M3 კატეგორიის 4 ერთეული ავტობუსის შესყიდვა და აგრეთვე მათი გეგმიური ფლობის შესყიდვა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით განხორციელებული სამუშაოებით კმაყოფილი მოსახლეობა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		95.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სანიაღვრე არხების მოწყობას და რეაბილიტაციას. განხორციელდება ს.მზისგულში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების დასრულება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ცვლილებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის თავიდან აცილება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		200.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სასაფლაოების მოვლა და შემოღობვის და სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, კერძოდ, განხორციელდება სოფელ უდაბნოში სარიტუალო სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოფლად მცხოვრები მოქალაქეების ყოფითი პირობების გაუმჯობესება და კეთილდღეობა, პროგრამით გათვალისწინებული განხორციელებული პროექტების შედეგად კმაყოფილი მოქალაქეები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		2106.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
	პროგრამის ძირითადი დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები. დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა ხდება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების		



პროგრამის აღწერა	შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით, პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რისთვისაც დასახლებებში სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 500-ს იმართება დასახლების საერთო კრებების სხდომები, ხოლო დასახლებებში სადაც ამომრჩეველების რაოდენობა 500-ზე მეტია, იმართება კონსულტაციები, სადაც მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტის შერჩევის თაობაზე, შერჩეული პროექტისათვის გამოყოფილი არასაკმარისი რესურსის შემთხვევაში ხორციელდება თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომელიც 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 200 %-ით.
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოფლად მცხოვრები მოქალაქეების ყოფითი პირობების გაუმჯობესება და კეთილდღეობა, პროგრამით გათვალისწინებული განხორციელებული პროექტების შედეგად კმაყოფილი მოქალაქეები.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6253,5 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,253.5
03 01	დასუფთავება	2,612.4
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	493.5
03 01 02	შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“	2,118.9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2,923.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	718.1

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		2612.4
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური, შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებების და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“ სუბსიდირება, მთელი წლის მანძილზე დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს ქსაგარეჯოს და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების დასუფთავების და ნარჩენების გატანის სამუშაოები.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სუფთა მუნიციპალიტეტი.
--	-----------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01 01		493.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საგარეჯოს ქუჩების დასუფთავება და დაგვა, წყალსადინარი არხების გაწმენდის, ცენტრალური ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისგან/ყინულისგან გაწმენდის მომსახურება, „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა - II-ის“ (ISWMP II) ფარგლებში მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის საინფორმაციო სისტემით (MIS) უზრუნველყოფისათვის სერვერის და ტექნიკური მომსახურების გაწევის საფასურის გადახდა, აგრეთვე გადახდილ იქნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ა. (ა). ი. კ. - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით 2024 წლის საწევრო გადასახადი. სააგენტოს საქმიანობა ხელს უწყობს ეკოლოგიურ, უსაფრთხო გარემოს არსებობას, უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტას.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე დასუფთავებული მუნიციპალიტეტი, ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შ.პ.ს. სუფთა მუნიციპალიტეტი 2018	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01 02		2118.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური, შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018" ახორციელებს შემდეგ სამუშაოებს: დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ქ.საგარეჯოსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ნარჩენების შეგროვება, განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება და განთავსება, ქ.საგარეჯოს სკვერების, პარკების, მოედნების და გამწვანების ზოლების მოვლა-პატრონობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრა, გადაბეღვითი სამუშაოების, გამწვანების და კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური შენობების და მოსაცდელელების მოწყობა, შეკეთება და რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების, საოფისე ბანერების და ნიშნების მოწყობა, ფიზიკური პირების (გარდა ინდ. მეწარმისა) მიერ გადასახდელი დასუფთავების მოსაკრებლის აკრეფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სასაფლაოების ტერიტორიის დასუფთავება. ამჟამად შ.პ.ს.-ში დასაქმებულია სულ 100 თანამშრომელი, მათ შორის 36 ქალბატონი, 64 მამაკაცი.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 6- სუფთა წყალი და სანიტარია, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე დასუფთავებული მუნიციპალიტეტი		



პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		2923.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. 2024 წელს დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის სამუშაოები, სამუშაოების მონიტორინგის და პროექტების შესყიდვის ხარჯი, ადგ. ბიუჯეტით განხორციელდება ს. ხაშში სკვერის მოწყობის სამუშაოები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგ. ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება სოფ. თოხლიაურში სკვერის მოწყობის სამუშაოები.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები, მიზანი 15- დედამიწის ეკოსისტემები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული მუნიციპალიტეტი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		718.1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგვის ურნების შესყიდვა, აგრეთვე წინა წლის ნაშთიდან ერთი ერთეული კომბინირებული (ქუჩის მომრწყავი, თოვლსაწმენდი და მარილმომყრელი ა/მანქანის შესყიდვის დარჩენილი ვალდებულების დაფარვა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 15- დედამიწის ეკოსისტემები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული და სუფთა ქუჩები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7114,7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	7,114.7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,401.4



04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	696.0
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	308.8
04 03 01	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე დაწესებულებების გაერთიანება“	244.7
04 03 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	64.1
04 04	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	708.5

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		5401.4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 30 საბავშვო ბაღი,სადაც რეგისტრირებულია 1491 აღსაზრდელი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 423 თანამშრომელი, მათ შორის 379 ქალბატონია, 44 მამაკაცია (ტექპერსონალი), 70 აღმზრდელი და 69 თანამემწე ემსახურება ბავშვთა აღზრდას, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 4- ხარისხიანი განათლება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		696.0
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსებიდან მიღებული ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება საბავშვო ბაღების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურების გათვალისწინებით, აგრეთვე საპროექტო მომსახურების ხარჯით, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მოეწყობა 10 სკოლამდელი დაწესებულებების ეზოებში საბავშვო ატრაქციონები, განხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების	მიზანი 4- ხარისხიანი განათლება, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		



მიზანთან (SDG)	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი დაწესებულებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		308.8
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას და გამარჯვებულის წახალისებას ფულადი ჯილდოთი, მოსწავლე-ახალგაზრდობის (6-18 წლამდე) ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენას, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად წრეების, კლუბების შექმნის ხელშეწყობას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენების პროგრამების განხორციელებას.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 4-ხარისხიანი განათლება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საგანმანათლებლო და შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03 01		244.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდებში პიროვნების ინდივიდუალური, შემოქმედებითი, ტექნიკური და მოქალაქეობრივი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიულ-კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენას და წახალისებას მუნიციპალიტეტის, რეგიონის, საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით, კომპაქტურად დასახლებულ არაქართულენოვანი მოსახლეობის ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების და ისტორიის შესწავლას, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესებას. ა(ა)იპ -ში დასაქმებულია 16 თანამშრომელი, მათ შორის 10 ქალბატონი, 6 მამაკაცი.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 4-ხარისხიანი განათლება.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	2024 წელს საგანმანათლებლო და შემეცნებით პროექტებში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	---	----------------------------------



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია:</p> <p>საგარეჯოელი მოსწავლე/ ახალგაზრდების განათლების ამაღლების და ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა; საგარეჯოელი მოსწავლეების საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტ „დიდგორელში“ მონაწილეობის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო სფეროში დეაქტიური ადამიანებისთვის „მოსწავლეების დღის“ მილოცვა; საჯარო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების ფულადი ჯილდოთი წახალისება („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე); გარემოს დაცვის ღონისძიების უზრუნველყოფა სკოლამდელ დაწესებულებებში და სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების ფიზიკური, გონებრივი განვითარებისათვის გარემოსდაცვითი ზოგადი ცოდნის ამაღლება.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 4-ხარისხიანი განათლება, მიზანი 5-გენდერული თანასწორობა, მიზანი 15- დედამიწის ეკოსისტემები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მოსწავლე ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონე.

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		708.5
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებიდან მიღებული ტრანსფერით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებები.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 4- ხარისხიანი განათლება, მიზანი 11-მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7118,1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
-----------------	-----------------------------------	-------------------



05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7,118.1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,969.8
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,138.5
05 01 01 01	ა(ა)იპ - საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა	132.5
05 01 01 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,076.3
05 01 01 03	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	599.2
05 01 01 04	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	330.5
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	136.5
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,694.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,848.8
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,431.1
05 02 01 01	ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“	283.9
05 02 01 02	ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება"	1,147.2
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,056.3
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	361.4
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	239.8
05 04	საგამომცემლო საქმიანობა	59.6

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		3969.8
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სპორტი არის პრიორიტეტული, რაც გამოიხატება მერიის და შესაბამისი სამსახურის მიერ სპორტის განვითარების ხელშეწყობით, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რაც ძალიან პოპულარულია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობაში. შენდება ახალი და რეაბილიტაცია უტარდებათ არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 9- მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მასობრივად ჩაბმული ბავშვები და ახალგაზრდები სპორტულ სექციებში, მოწყობილი თანამედროვე, კარგად აღჭურვილი სპორტული ინფრასტრუქტურული ობიექტები		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა-ა(ა)იპ. საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		132.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტსკოლა მოიცავს ორ საცურაო აუზს, სადაც როგორც ბავშვები და მოზარდები ეუფლებიან ცურვის ოსტატობას, ასევე მოყვარულებსაც შეუძლიათ ისარგებლონ სპორტსკოლის მომსახურებით. სპორტსკოლაში დასაქმებულია 7 თანამშრომელი, მათ შორის 1 ქალბატონი, 6 მამაკაცი. სპორტსკოლაში 383 მოზარდი ეუფლება ცურვის ოსტატობას. 2024 დაგეგმილია ორი ტურნირის ჩატარება ცურვაში სასკოლო ასაკის ბავშვთა და უფროსებს შორის მუნიციპალური მასშტაბით.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტსკოლა (საცურაო აუზი) გამართულად ფუნქციონირებს მთელი წლის მანძილზე და გაზრდილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა- სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		1076.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 11 სპორტის მიმართულება, ესენია: ძიუდო; სამბო; ქართული ჭიდაობა; ქალთა ძიუდო; თავისუფალი ჭიდაობა; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; კრივი; ჭადრაკი; მკლავჭიდი; მხატვრული ტანვარჯიში; სპორტული აკრობატიკა. სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 620-მდე ბავშვი, აქედან 130 გოგონაა, 490 ვაჟი. გაერთიანებაში დასაქმებულია ს უ ლ 65 თანამშრომელი, მათ შორის 21 ქალბატონი, 44 მამაკაცი. 12 ადმინისტრაციული პერსონალი, 30 მწვრთნელ-მასწავლებელი 19 ტექნიკური თანამშრომელი. მომავალ წელს გაერთიანება შეუფერხებლად და სრული დატვირთვით იფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; იგეგმება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. სპორტულ სექციებში გაერთიანებულ აღსაზრდელებს სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 2-ჯერ, 3-ჯერ - 5 ჯერ, პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით და მის გარეთ. აღსაზრდელების და მათი მშობლების მოთხოვნით დაემატა ტანვარჯიშის წრე : მხატვრული ტანვარჯიში და ტანვარჯიში სპორტულ აკრობატიკაში. ასევე მშობლების და აღსაზრდელების მოთხოვნაა და მომავალში იგეგმება სპორტის სხვადასხვა სახეობების დამატება, კერძოდ: კარატე, კალათბურთი, ფრენბურთი. მიმდინარეობს რამდენიმე სპორტდარბაზის მშენებლობა, რომლის გახსნაც დაგეგმილია მიმდინარე წელს. გათვალისწინებულია სპორტული დარბაზების აღჭურვა სპორტული ინვენტარით და მოხდება წარმატებული სპორტსმენების სპორტული ფორმებით უზრუნველყოფა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტგაერთიანება გამართულად ფუნქციონირებს მთელი წლის მანძილზე და გაზრდილია მოზარდებისათვის ხელმისაწვდომობა სპორტული		



და მოსალოდნელი შედეგი	წრებით სარგებლობის. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგები წარმოჩენილია ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ.
-----------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა - რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		599.2

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვები
--------------------------------	------------------------------

ქვეპროგრამის აღწერა	რაგბის კლუბში ირიცხება 120 ბავშვი, სამომავლოდ გვინდა ამ ნიშნულის გაორმაგება, ამისთვის დაგეგმილი გვაქვს სკოლებში ვიზიტები და სხვადასხვა ღონისძიებები. ბავშვთა გაზრდილ რაოდენობას დასჭირდება კვალიფიციური მწვრთნელები, რაზეც ასევე ვაპირებთ ზრუნვას, რაგბის განვითარების ჯგუფთან ერთად იგეგმება ადგილობრივი მწვრთნელების გადამზადება. ეს ყოველივე გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს საშუალებას დიდი გუნდის შემადგენლობაში გვყავდეს 90-95% ადგილობრივი მოთამაშე, რომელსაც ექნებათ შესაბამისი ანაზღაურება და უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სავარჯიშო პირობებით. კლუბში დასაქმებულია სულ 22 თანამშრომელი, მათ შორის 4 ქალბატონია.
---------------------	--

კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
---	--

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოთამაშეები დიდი გუნდის რიგებში, ასკობრივ გუნდებში ბავშვთა რაოდენობის ზრდა, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.
---	--

--	--	--	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		330.5

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი გარეჯი
--------------------------------	--------------------------------

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების და მოზარდების დაინტერესებას ფეხბურთით, ვინაიდან საფეხბურთო კლუბში გაიზარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, საჭიროა მწვრთნელების დამატება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, რათა უკეთ მოხდეს ბავშვების დაოსტატება , კარგად აღჭურვილი სპორტული ბაზა ხელს შეუწყობს ბავშვებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში, გამოცდილების შეძენით შესაძლებლობა ექნებათ მაღალი შედეგის მიღწევის. კლუბში დასაქმებულია სულ 16 თანამშრომელი, მათ შორის 3 ქალბატონია, 13 მამაკაცი. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ემსახურება 10 მწვრთნელი.
---------------------	---

კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
---	--

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სავარჯიშო მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა.საფეხბურთო ტრადიციების აღორძინება.ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია.
---	--



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		136.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტსმენთა წამახალისებელი ჯილდოების გაცემა (მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით, ფულადი ჯილდოს გაცემის წესი“-თ).</p> <p>მუნიციპალიტეტში სპორტი არის პრიორიტეტული მიმართულება, რაც გამოიხატება მერიის და შესაბამისი სამსახურის მიერ სპორტის განვითარების ხელშეწყობით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რაც ძალიან პოპულარულია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობაში, საზოგადოებაში. წლის განმავლობაში, სპორტული ღონისძიებების ხარჯებიდან სპორტსმენებს უფინანსდებათ გზის და სამივლინებო ხარჯები, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე. ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები; თამაშების ორგანიზებას და გამარჯვებული სკოლების ტრანსპორტირებას რეგიონულ და რესპუბლიკურ თამაშებზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი ცხოვრების წესის და სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სპორტული ღონისძიებებში გაზრდილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1694.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს არსებული სპორტული მოედნების და დარბაზების რეაბილიტაციას, შეკეთებას და ახლის მშენებლობას, ტრენაჟორების მოწყობას, 2024 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯს, სტადიონების მოვლა-პატრონობას, ადგ. ბიუჯეტით განხორციელდება ქ. საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობის პროექტი, აგრეთვე სტიქიით დაზიანებული ს. გიორგიწმინდაში არსებული სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციის და ს. მზისგულში დაზიანებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები.</p>		



კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 9- მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია თანამედროვე , კარგად აღჭურვილი სპორტული მოედნები და ტრენაჟორები.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		2848.8
პროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვანებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება ხელშეწყობილია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა"	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		283.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - საგარეჯოს ჯ.ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 სკოლა, სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა. სამუსიკო სკოლაში მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამუსიკო სკოლაში მიღება თავისუფალია მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. სკოლაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, მათ შორის 19 ქალბატონია, 3 მამაკაცია-ტექპერსონალი.		
კავშირი მდგრადი განვითარების	მიზანი 4- ხარისხიანი განათლება, მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		



მიზანთან (SDG)	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების შეუფერხებლად ფუნქციონირებს. გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა- ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		1147.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაერთიანების ადმინისტრაცია, კულტურის სახლი, ტექნიკური სამსახური, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, სამი სასოფლო ბიბლიოთეკა, ხუთი- სასოფლო კლუბი, ვანო მჭედლიშვილის სახელობის ხალხური სიმღერის და საგალობლების სახელოსნო, ანსამბლი ბერიკაცები, ვოკალური ანსამბლი, უდაბნოს ქორეოგრაფი, ხელოვნების სკოლა. სულ დასქმებულია გაერთიანებაში 134 თანამშრომელი, მათ შორის 81 ქალბატონია, 53 მამაკაცი. 2024 წელს განხორციელდება 2 პრემიერა და 1 ძველი სპექტაკლი, ასევე თოჯინების თეატრში დაიდგმება 2 ახალი სპექტაკლი, მოეწყობა სახალხო დღესასწაულები("ბერიკაცობა, გოგლაობა, ვაჟაობა, რეზობა), სხვადასხვა ღონისძიებები(ქალთა დღისადმი, სახალხო, საგამოფენო, ლიტერატორების შემოქმედებითი საღამოები და ა.შ.)		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა - რეაბილიტაცია,მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		1056.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილება.		
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სარეაბილიტაციო პროექტების შესყიდვას და ზოგადად კულტურის ობიექტების რეაბილიტაციას, ქ.საგარეჯოში კოდისკენ მიმავალ გზაზე მოწყობა კონსტრუქცია წარწერით"მე მიყვარს საგარეჯო". აგრეთვე , მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში 2024 წელს გამოყოფილია 246,0 ათასი ლარი შემდეგ ტურისტულ ღონისძიებებზე: საინფორმაციო ფლაერებისა და ბუკლეტების დამზადება; ბრენდირებული მაისურების და კეპების ბეჭდვა; მონაცემთა ბაზების დიფერენცირება (განახლება); საინფორმაციო დაფების განთავსება; ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო და მედიაკამპანიების დაგეგმვა; საგარეო კურსის განვითარება, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა (პოლონეთი, ესპანეთი, ჰოლანდია);		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ფესტივალისა და სხვადასხვა ტურისტული - კალენდარული ღონისძიებების განხორციელება; ბანერები გზატკეცილზე; "მე მიყვარს საგარეჯო"; ნუშის ყვავილობა მლაშე ტბა - ფოტო ტური უდაბნოს მისადგომებთან; მედია ტური „ღვინის გზა“- შატოებისა და მარნების მონახულება; "გარეჯობა"; გიდებისა და ინფო ტური; დავით გარეჯი-ყორული მარიამჯვრის, კოდის ტურისტული მარშრუტი; ეკოტური - ჩირის ქარხნის ტერიტორიის დათვალიერება და მონახულება მდგრადი ენერჯეტიკის კვირეულის ფარგლებში; ვაზის სამშობლო-ტური ხაშში და მანავში (საფერავისა და მანავის მწვანეს ჯიშების გაცნობა); ყველის ფესტივალი უდაბნოში; მთის ფესტივალი; ტრენინგი-გადამზადება მცირე და საშუალო მეწარმეების, ტრენინგის მოწვევა; კონკურსი-აღმოჩენილი საგარეჯო (ახალი ტურისტული ლოკაციების აღმოჩენისა პოპულარიზაციის მიზნით); ვიდეორგოლი „ეს საგარეჯოა“; გმირთა სავანის, როგორც ტურისტული მოსაცდელისა და მოსასვენებელი სივრცის მოწყობა; საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე შემინული, განათებული სტენდების მოწყობა „საგარეჯოს წარსული და აწმყო“; ბრენდირებული სუვენირების წინასწარ მომზადება, კალმები, ჭიქები, მაგნიტენი, CD დისკი-ადგილობრივი ანსამბლების სიმღერები, ვიდეორგოლი ტურისტული ობიექტების; ცენტრალურ უბნებში მოსაცდელის QRკოდებით აღჭურვა და განათება, ელექტრო დამტენები, საგარეჯოს რუკების დამონტაჟება. „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალისგან საქართველოში“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის- „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფარგლებში გამოყოფილი გრანტით დაფინანსდება პროექტი ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდასაჭერად.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. რეაბილიტირებული კულტურის ობიექტები, გაზრდილი ცნობადობა ადგილობრივი ტურისტული ობიექტების და პოტენციალის შესახებ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		361.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების ჩატარებას, კერძოდ: სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“; საახალწლო; პატარმეულში, გმირთა სავანესთან; იორმულანლოში, ბადიაურში, უდაბნოში; კონცერტი უჯარმის ციხესთან; იორმულანლო, ახალი საბავშვო ბაღის გახსნა; კალიგრაფისტთა კონკურსი; მოწვეული ლექტორები, საქართველოს ისტორიის კურსი; ინტელექტუალური თამაში; თეატრალური ფესტივალი; სასაჩუქრე წიგნების შექმნა; მუზეუმის ღამე (საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი); გაზეთი „გურჯისტანის“ შექმნა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობისთვის; მასწავლებლის საერთაშორისო დღე; გამოფენა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში; თელავის კლასიკური მუსიკის ფესტივალი „ადგომიდან ამაღლებამდე“ (თანადაფინანსება); გიორგი ლეონიძის პრემია (საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს, თანადაფინანსება); პროექტი „ჩემი კუთხე“; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, რის შედეგადაც გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.		
	კოდი	ახალგაზრდობის	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში



პროგრამის დასახელება		მხარდაჭერა	
	05 03		239.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამაში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების (ეთნიკური უმცირესობა, სოციალურად დაუცველები, ეკომიგრანტები, შშმ პირები) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წახალისება, თავისუფალი დროის სწორად გამოყენება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: ტრანსპორტით მომსახურება - გეგმიური, ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვა ინიცირებული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა; "მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" თამაშები; ლექტორების შემენა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის; წიგნის საერთაშორისო დღე 23 აპრილი; ახალგაზრდული ბანაკები; 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე; მერიის სტიპენდიანტი (მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის ალექსანდრე ცხვედამის სახელობის სტიპენდიის შემოღებისა და გაცემის წესი“-თ); თოჯინების თეატრი და გასართობი ცენტრი სოფლებში; დედამიწის საერთაშორისო დღე 22 აპრილი; მეგობრობის დღე (ეთნიკური უმცირესობები); გრანტოსანი პირველკურსელების დაჯილდოება; ხელნაკეთი თოჯინები-ნატურის ხის პერსონაჟები; ფერწერის კონკურსი; გოგონათა ბანაკი ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობით; წარმატებული ახალგაზრდების ჯილდო; გამწვანების აქცია; ახალგაზრდული კომიტეტის მხარდაჭერა; წიგნის ბუდეების განთავსება სოფლებში; ესეების კონკურსი გარემოს დაცვაზე; 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; პირველკლასელი ბავშვების (სოციალურად დაუცველი ოჯახების) ხელშეწყობა; 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე; ფერების ფესტივალი და ბენდის კონცერტი; საახალწლო ფესტივალი; ნაყინის ფესტივალი.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 10- შემცირებული უთანასწორობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობისთვის შესაბამისი უზრუნველყოფილი გარემო, საზოგადოებაში ინტეგრირებული შშმ პირები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		59.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შ.პ.ს. "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე"		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ საინფორმაციო გაზეთის გამოცემა, რომლის საშუალებით მოსახლეობას პერიოდულად (თვეში ორჯერ) მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. პრობლემა არის შემოქმედი მუშაკის, გაზეთის კორექტორის და გაზეთის დისტრიბუტორის შტატის არ ქონა. აღნიშნული შტატების დამატებით გაუმჯობესდება ინფორმაციის ოპერატიული მოძიება და გაზეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფართოდ გავრცელება და გაადვილდება მოსახლეობისათვის გაზეთის ხელმისაწვდომობა. შ.პ.ს.-ში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, მათ შორის 3 ქალბატონი, 2 მამაკაცი.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 5- გენდერული თანასწორობა, მიზანი 16- მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია გაზეთის ტირაჟი, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაციები მიმდინარე სიახლეებზე.		



მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4055.6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,055.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,209.8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	281.4
06 01 02	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	928.4
06 02	სოციალური დაცვა	2,845.8
06 02 01	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა დახმარების პროგრამა	545.4
06 02 01 01	პირველი, მეორე და მესამე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	29.0
06 02 01 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	80.0
06 02 01 03	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	30.0
06 02 01 04	უღედემამო ბავშვების დახმარების პროგრამა	23.8
06 02 01 05	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	100.0
06 02 01 06	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	261.6
06 02 01 07	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა	6.0
06 02 01 08	რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	5.0
06 02 01 09	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	10.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	1,390.9
06 02 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	780.0
06 02 02 02	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	300.0
06 02 02 03	ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა	248.5
06 02 02 04	ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	62.4



06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	457.0
06 02 03 01	ელექტროენერჯის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა	56.0
06 02 03 02	მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა	120.0
06 02 03 03	სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე	180.0
06 02 03 04	მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა	25.0
06 02 03 05	ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა	6.0
06 02 03 06	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	50.0
06 02 03 07	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა	20.0
06 02 04	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	45.0
06 02 05	უმწოთათვის უფასო სასაბინოების დაფინანსება	338.5
06 02 06	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.5
06 06 07	წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა	23.3
06 06 08	სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება	40.0
06 06 09	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	0.2

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		1209.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		281.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის როგორცაა: 1. ეპიდემიადამხედველობა, მათ შორის: ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი; 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; 5. „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით გასაწევი მომსახურების ვალდებულება. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება ცე-ჰეპატიტის. შიდსის და ტუბერკულოზის მუნიციპალური ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა. ა.ა.ი.პ.-ში დასაქმებულია 14 თანამშრომელი, მათ შორის 12 ქალბატონი, 2 მამაკაცია ტექპერსონალი. 2024 წელს განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის ავტომობილის და ინვენტარის შესყიდვა.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		928.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვე უხდის ხელფასს ექიმს(ქალბატონი) ,რათა მან გაუწიოს ადგილზე სამედიცინო მომსახურება სოფელ უდაბნოს მოქალაქეებს. მშენებლობა, რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდება ქ.საგარეჯოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები, განხორციელდება სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა.</p>		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, მიზანი 11- მდგრადი ქალაქები და დასახლებები.		
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სოფელ უდაბნოს მოქალაქეებმა ადგილზე ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით. მოსახლეობა კმაყოფილია ექიმის ადგილზე მომსახურებით თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სოფლის ამბულატორიებში.		



პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		2845.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შედეგებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-წულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პირველ, მეორე და მესამე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 01		29.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ერთჯერადად 450 ლარის, ხოლო სხვა დასახლებაში მცხოვრები ბუნეფიციარებისთვის 400 ლარის ოდენობით. (დახმარების მიმღებია პირველი, მეორე და მესამე შვილი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით, ან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-წულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დემოგრაფიული მდგომარეობა-შობადობა გაუმჯობესებულია მატერიალური წახალისების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 02		80.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>მიეცემა ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, რომლებსაც 3ყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მანძ არის 18 წლამდე ასაკის. ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დახმარება განისაზღვრება დამატებით 100 ლარით.</p> <p>დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით ან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-წულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის მატერიალური წახალისების გზით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 03		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა განვითარებას მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამა დაუფინანსდებათ 150 ლარამდე თანხით. ფენილკეტონურიით ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა და შშმ პირთა სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარებისთვის ლიმიტის ამოწურვამდე გაიცემა 500 ლარამდე თანხა.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-წულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა სოციალური დაცვა და აუცილებელი საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 04		23.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) უდედმამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.</p> <p>ბ) დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით ან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი.</p>		



კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-ნულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დედამამით ობოლ ბავშვთა საჭიროებების გათვლისწინება და მათი ფინანსური თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 05		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-ნულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 06		261.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, 18 წლამდე შშმ ბავშვთა და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის ICD10 გონებრივი ჩამორჩენილობისა F70-F79, ფსიქიკური განვითარების დარღვევები F80-F89, ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობა F90-F99 ჯგუფის დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის რეაბილიტაციის თანხის დაფინანსება 500-დან -1000 ლარამდე.</p> <p>ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 120 000-ის ჩათვლით. პროგრამის მოსარგებლებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა, არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას.</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია დაფინანსება 400 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.</p> <p>დ) შშმ პირების დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო კურსის დაფინანსება 1000 ლარამდე თანხით.</p>		



	<p>ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების გაცემა მოხდება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.</p> <p>ვ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი „სინერჯია 2019“ -ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდება 2000 ლარით;</p> <p>ზ) სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება 20000 ლარით.</p> <p>თ) კლინიკა „ლაიფი“-ის ბაზაზე არსებული შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის კომუნალური ხარჯების დაფინანსება 15000 ლარით.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-ნულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 07		6.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება. (ვისაც ყავს 18 წლამდე შვილი ან შვილები) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 000-ის ჩათვლით.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-ნულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 08		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
	ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებზე, რომლებზეც განხორციელდება რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მათ ოჯახებს გაეწევა ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით,		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბ) სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება შესაბამისი ორგანოდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით;</p> <p>გ) ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება;</p> <p>დ) ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეუწყდათ საარსებო შემწობა განმეორებით გადამოწმების შედეგად;</p> <p>ე) თვითმართველობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გაძლიერება, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და ფულადი დახმარების გაცემა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.</p>
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 2-წულოვანი შიმშილი, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 09		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა, ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რაც დამოკიდებულია ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 000--ის ჩათვლით.		
კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)	მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 01		780.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
,,ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში			



რეგისტრირებული 100 000 დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული, დევნილი პირების, 18 წლამდე ასაკის პირებს, ასაკით პენსიონერი პირების და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პირების, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირების (ნებისმიერი ტიპის) სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 80 %-ით არაუმეტეს 1500 ლარისა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ხოლო 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფებისათვის 600 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად.

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 90%-ით არაუმეტეს 1500 ლარისა, ხოლო 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან ასაკით პენსიონერი ან შშმ პირის სტატუსის მქონე, ასევე 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 16 წლამდე ბავშვს, სამკურნალო საოპერაციო 1500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაუფინანსდება 100% ით. აღნიშნულ პირებს სადიაგნოსტიკო კვლევების თანხა 1000 ლარამდე დაუფინანსდება ასევე 100 %-ით.

გ) მე -5 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან თუ აჭარბებს 3000 ლარს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 4000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით, თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აჭარბებს 5000 ლარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირთა, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილი პირთა, 18 წლამდე პირთა, ასაკით პენსიონერ პირთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირთა, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 700 ლარამდე სრულად, ხოლო შვიდასი ლარიდან ზევით თანხის 50 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა.

დ) სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება უსინათლოთა ხელჯოხები, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის, ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში ბენეფიციარი ერთჯერადად დაფინანსდება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება არაუმეტეს 120 ლარისა (საჭიროების მიხედვით). 18 წლამდე შშმ ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თვეში არაუმეტეს 50 ლარისა (საჭიროების მიხედვით).

ქვეპროგრამის აღწერა

კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან (SDG)

მიზანი 1- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, მიზანი 3-ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		



	02	300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
